საქმე №3/2765-23

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

სარჩელის წარმოებაში მიღების, დასაშვებად ცნობისა და მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის შესახებ

19 აპრილი, 2023 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ბადრი შონია

მოსარჩელეები - ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“, [redacted]

მოპასუხე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

სასამართლომ, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების, ასევე მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2023 წლის 13 აპრილს, ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივამ“, [redacted]

[redacted] სარჩელით მომართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვეს: ბათილად იქნეს ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან - „ქ. თბილისში ფონიჭალის მიმდებარედ, შპს „გეო ენერჯის“ ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის N68/ს ბრძანება.

მოსარჩელეებმა ასევე იშუამდგომლეს სასკ-ის 29.1 მუხლის თანახმად, შეჩერდეს - გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - „ქ. თბილისში ფონიჭალის მიმდებარედ, შპს „გეო ენერჯის“ ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის N68/ს ბრძანების მოქმედება წინამდებარე ადმინისტრაციულ საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ სარჩელს შეამოწმა მისი დასაშვებობის და წარმოებაში მიღების წინაპირობები და მიაჩნია, რომ წარმოდგენილი სარჩელი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე, 178-ე მუხლების მოთხოვნებს და მიღებულ უნდა იქნეს სასამართლო წარმოებაში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26^2 მუხლის შესაბამისად სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე ამ კოდექსის 22-25-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით წყვეტს სარჩელის დასაშვებობის საკითხს.
განსახილველ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე სარჩელი აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს და ამ ეტაპზე დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი.

სასამართლო გაეცნო სარჩელს, წარმოდგენილ წერილობით მასალებს და მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე უნდა დაინიშნოს მოსამზადებელი სხდომა, ვინაიდან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი (საფუძვლები), კერძოდ: საქმის არსებითი განხილვისათვის სათანადოდ მომზადების ინტერესებისათვის აუცილებელია მოსამზადებელი სხდომის ჩატარება.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ არასაპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო მტკიცებულებათა წარდგენა, სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამის თანამდებობის პირს აჯარიმებს 200 ლარით, რაც არ ათავისუფლებს

მას მტკიცებულებათა შემდგომში წარდგენის ვალდებულებისაგან. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელს ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართოს წარდგინებით სასამართლოში მტკიცებულებათა წარუდგენლობის მიზეზების დადგენისა და შესაბამისი თანამდებობის პირის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეს უნდა დაევალოს სრულად წარმოადგინოს საქმისწარმოების მასალები მოსარჩელე მხარის სარჩელთან დაკავშირებით.

სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13, 26^2-ე, მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 103-ე, 205-ე, 284-ე, 414-ე, 445-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“, [redacted] სარჩელი მიღებული იქნეს სასამართლო წარმოებაში და ამ ეტაპზე დასაშვებად იქნეს ცნობილი;

2. დაიწყოს საქმის მომზადება და სარჩელი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად გაეგზავნოს მოპასუხეს და მასვე დაევალოს 10 (ათი) დღის ვადაში წარმოადგინოს შესაგებელი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

3. დაინიშნოს მოსამზადებელი სხდომა **23.06.2023 წლის 12:00 საათზე,** თბილისის საქალაქო სასამართლოში. მხარეები გამოძახებულ იქნენ სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად კანონით დადგენილი წესით;

4. მოპასუხე მხარეს დაევალოს წარმოადგინოს სარჩელთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები სრულად;

5. განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

მოსამართლე **ბადრი შონია**